ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3220962

ნომერი: AR1493463

თარიღი : 05.04.2017

გაცემის თარიღი : 24.04.2017

გაცნობის თარიღი : 24.04.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კედია , (ყოფ. კახოვსკი) , N 10 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი კაპანაძე პ/ნ 01024018293
- ბერძნის ქ.39

ორგანიზაცია:
- კედიას 10 კოდი: 405074672

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 05 აპრილის №AR1493463 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი კაპანაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანებით შეთანხმდა: ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, ქუჩა კედია, (ყოფ. კახოვსკი), #10, შპს "კედიას 10"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.13.06.008.074), მრავალფუნქციური კომპლექსის საცხოვრებელი IVა და IVბ ბლოკების არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2017 წლის 20 იანვრიდან 2020 წლის 20 იანვრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტის ტექნიკური-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მითითებულია 4547.8 კვ.მ ნაცვლად 4548 კვ.მ-სა., საზაფხულო ფართობად მითითებულია 1122.8 კვ.მ ნაცვლად 1265.7 კვ.მ-სა, საერთო ფართობად მითითებულია 6955.0 კვ.მ ნაცვლად 7098.1 კვ.მ.-სა.

სამსახურმა 2017 წლის 05 აპრილის №AR1493463 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული მოთხოვნა შეადარა 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანებით შეთანხმებულ პროექტის სამშენებლო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებული სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საცხოვრებელ ფართობად მიეთითოს 4548 კვ.მ, საზაფხულო ფართობად მიეთითოს 1265.7, საერთო ფართობად მიეთითოს 7098.1.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 20 იანვრის №3040124 ბრძანებასთან ერთად ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.